DOI: 10.51364/26679604.jcpr.2021.v02i02.013

მიხეილ ქართველიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

mikheil.kartvelishvili@tsu.ge

პროფესორი დავით პავლიაშვილი (1928-2021) - ისტორიოგრაფიული ნარკვევი

ნაშრომში შესწავლილია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, დავით პავლიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები. დავით პავლიაშვილის მიერ ქართულ ისტორიოგრაფიაში კომპლექსურად და მონოგრაფიულად არის შესწავლილი საქართველოს ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. მას მოღვაწეობა ორ პერიოდში მოუხდა, პირველი, ეს არის საბჭოთა პერიოდი, როდესაც მთლიანად სააზროვნო სისტემა მათ შორის საისტორიო მეცნიერებაც მძლავრ იდეოლოგიურ ზეგავლენას განიცდიდა, მიუხედავად ამისა, ავტორისეული დასკვნა და მოსაზრებები საყურადღებო და მნიშვნელოვანია, ხოლო მეორე პერიოდი უკვე პოსტ-საბჭოთა პერიოდს წარმოადგენს, როდესაც მთლიანად ქვეყანა და მეცნიერებაც განთავისუფლდა ცენტრალიზირებული მარწუხებისაგან და მეცნიერებს შესაძლებლობა მიეცათ, ყოველგვარი იდეოლოგიური ჩარჩოების გარეშე შეესწავლათ მათთვის საინტერესო საკითხები. აღნიშნულ პერიოდში დავით პავლიაშვილის შემოქმედება კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა.

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფია, მეხილეობა, ისტორიოგრაფია, მხარეთმცოდნეობა

თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ისტორიოგრაფიული კვლევების განვითარება, სადაც განსაკუთრებული ადგილი უნდა მივანიჭოთ სამეცნიერო დისციპლინათა ცალკეული მნიშვნელოვანი წარმომადგენლობის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლას და ამ ფონზე საისტორიო მეცნიერების განვითარების ზოგადი ტენდენციების გამოკვეთას.

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ისტორიოგრაფიული ხასიათის არის, მიზნად ისახავს შევისწავლოთ ახლახან გარდაცვლილი ქართველი ისტორიკოსის, დავით პავლიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა. მართალია, აღნიშნული საკითხის ერთი სამეცნიერო სტატიის ფარგლებში ფარგლებში ამოწურვა პრაქტიკულად შეუძლებელია, ძალიან რთულია, მაგრამ ჩვენი ნაშრომი მხოლოდ საკითხის დასმად უნდა მივიჩნიოთ და დასახული მიზნის შესრულების მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

დასაწყისში, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ გავეცნოთ დავით პავლიაშვილის ბიოგრაფიულ ცნობებს, რაც გაგვიადვილებს, ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას მის ცხოვრება-მოღვაწეობაზე.

დავით პავლიაშვილი დაიბადა 1928 წლის 1 ივნისს, გორის რაიონის სოფელ ტყვიავში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ ბიოლოგიის, შემდეგ ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, 1964 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე - მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). 1966-1977 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო 1977 წლიდან 2006 წლამდე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჯერ უფროსი, ხოლო შემდეგ კი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. 1986 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე - „მეხილეობის განვითარების ისტორია საბჭოთა საქართველოში“. პარალელურად იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ დოცენტი, შემდეგ პროფესორი. ნაყოფიერი და აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობისათვის არჩეული იყო ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. გარდაიცვალა 2021 წლის 6 ნოემბერს.

დავით პავლიაშვილის მეცნიერული კვლევის სფეროს წარმოადგენდა: საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, ეკონომიკური ისტორია, მხარეთმცოდნეობა.

დავით პავლიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა პირობითად ორ ნაწილად უნდა დაიყოს, პირველი, ეს არის საბჭოთა პერიოდი, როდესაც მოხდა მისი მეცნიერად ჩამოყალიბება, ხოლო მეორე მო-

ნაკვეთი, ეს არის პოსტ-საბჭოთა ეპოქა, როდესაც მეცნიერებს შესაძლებლობა მიეცათ, იდეოლოგიური წნეხისგან თავისუფალ გარემოში დაეწყოთ მუშაობა.

სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ავტორის მეცნიერული კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მეხილეობის საკითხების შესწავლა. ეს არის მიმართულება, რომელსაც ქართულ რეალობაში სათავე დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა.1 მიუხედავად ამისა, აღნიშნულ დარგს ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა, სწორედ ამიტომ, ახალგაზრდა მეცნიერის დაინტერესება ამ საკითხით, უპრიანი და გამართლებული ჩანს, სწორედ ამიტომ, დავით პავლიაშვილმა რამდენიმე სტატიის დაბეჭდვის შემდეგ, 1961 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფიული გამოკვლევა, მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) (პავლიაშვილი, დ. 1961). ნაშრომის საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ავტორი საკმაოდ კარგად იყო საკითხში გარკვეული, ავტორი იცნობდა დიდძალ თეორიულ ლიტერატურას, გარდა ამისა, ავტორი შეეცადა არა მთლიანად საქართველოს სურათი მოეცვა, რითაც თავიდან აიცილა საკითხის მიმოხილვითი ანალიზი, არამედ შემოგვთავაზა სამეცნიერო პრობლემის ვიწრო, რეგიონული ხედვა და მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მონაცემებით შემოიფარგლა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი საბჭოთა პერიოდშია დაწერილი, გადმოცემული დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა და ავტორისეული დასკვნები თავის სამეცნიერო ღირებულებას დღემდე ინარჩუნებენ მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის გამოქვეყნებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული.

აღნიშნული ნაშრომის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას საინტერესო რეცენზია მიუძღვნა ჯუანშერ სონღულაშვილმა (სონღულაშვილი, ჯ. 1963: 232-236), ეს რეცენზია რამდენიმე კუთხით არის საინტერესო, კერძოდ, მასში ჩვენ ვხდებით იმ ძირითად ტენდენციებს, რომელიც ავტორს განხილული აქვს, ასევე რეცენზენტი იძლევა საინტერესო და მნიშვნელოვან რჩევებს საკითხის ირგვლივ შემდგომი კვლევის განვითარების კუთხით.

დავით პავლიაშვილის აღნიშნულ ნაშრომს ყურადღება მიაქცია ვალერიან ითონიშვილმა, 1983 წელს მოსკოვში გამომავალ ავტორიტეტულ, საკავშირო კრებულში Советская Этнография დაბეჭდილ სტატიაში, რომელიც ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის განვითარების 60 წლისთავს ეხება (Итонишвили. В. Д.1983: 35), მასზე ასევე საუბარია ალექსი რობაქიძის სტატიაში - ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია (რობაქიძე, ალ. 1986: 166).

1 აღნიშნული კუთხით განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი არის ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, სადაც გადმოცემულია ძალიან საინტერესო მიმართულებები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ამ კუთხით სამეცნიერო კვლევა (ჯავახიშვილი 1934, 98-138).

ამ წიგნის არამარტო თეორიულ, არამედ განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილა გამოჩენილმა ქართველმა ეთნოლოგმა, პროფესორმა, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა როლანდ თოფჩიშვილმა (თოფჩიშვილი, რ. 2021, 171).

დავით პავლიაშვილმა აღნიშნულ წიგნზე 1964 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო წოდება, მიუხედავად ამისა, ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ თემაზე მუშაობა გააგრძელა და ქართული ისტორიოგრაფია მრავალი საინტერესო ნაშრომით გაამდიდრა, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის მისი ორი მონოგრაფიული ნაშრომი, პირველი, ეს არის მეხილეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში. წიგნი 1 (1921-1945 წ.წ.) (პავლიაშვილი, დ. 1974), ხოლო მეორე არის, რუსულ ენაზე შესრულებული გამოკვლევა Развитие плодоводства в Советской Грузии (Историко-экономическое исследование) (Павлиашвили, Д. 1979). ორივე გამოკვლევა დიდძალ საისტორიო მასალაზე და საარქივო პირველწყაროებზეა დაფუძნებული, რაც ამ ნაშრომების მთავარ დადებით მომენტად გვევლინება, მნიშვნელოვანია, რომ მეორე ნაშრომი რუსულ ენაზე გამოქვეყნდა, რაც იმ პერიოდის საკავშირო სამეცნიერო საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევდა, უფრო ვრცლად გასცნობოდა ქართულ რეალობას არ გამოვრიცხავთ, რომ ის საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც გავრცელებულიყო, რაც დღევანდელი გაგებით, სამეცნიერო ინტერნაციონალიზაციის ტოლფასი შეიძლება გამხდარიყო. აღნიშნული ნაშრომები სავსებით ჯდება იმ ეპოქის მოთხოვნებში, რომლებშიც ისინი შეიქმნა, დღევანდელი თვალით მათი განსჯა და შეფასება ჰიპერკრიტიკულ მიდგომად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ საკითხისადმი ადეკვატური წარმოდგენის შექმნაში ხელს შეგვიშლის.

ეს ორი მონოგრაფია, სხვა მრავალრიცხოვან სტატიებთან ერთად, გახდა დავით პავლიაშვილის სადოქტორო დისერტაციის საფუძველი, რომელიც მან 1986 წელს წარმატებით დაიცვა, რისთვისაც მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

როდესაც დავით პავლიაშვილის მიერ საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომებზე ვსაუბრობთ, ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი მეტად საინტერესო სტატია. 1976 წელს საქართველოში ფართოდ აღინიშნა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან ასი წლისთავი. ამ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა მრავალი სამეცნიერო და საზეიმო ღონისძიება, დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი სტატიები, წიგნები, დაიწყო ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 12 ტომეულის ბეჭდვა.

აღნიშნულ საიუბილეო თარიღს ეძღვნება საქართველოს მეც-

ნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებული, სადაც დაიბეჭდა დავით პავლიაშვილის საინტერესო სტატია, სადაც იგი დიდ ქართველ ისტორიკოსს წარმოგვიდგენს მანამდე უცნობი კუთხით, კერძოდ, შესწავლილია მისი წვლილი საქართველოში მებაღეობის კვლევაში, ნაშრომი ისტორიოგრაფიული ხასიათის არის და ავტორმა წარმატებით შეძლო გადმოეცა ივანე ჯავახიშვილის როლი და მნიშვნელობა ამ მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაში (პავლიაშვილი, დ. 1976: 100-112).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მეორე პერიოდი, რომელშიც პროფესორ დავით პავლიაშვილს მოღვაწეობა მოუხდა, ეს არის პოსტ-საბჭოთა პერიოდი, როდესაც მეცნიერება იდეოლოგიური მარწუხებისაგან გათავისუფლდა, მაგრამ ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ხელი შეუშალა ნორმალურ აკადემიური განვითარებას, მძიმე სოციალურმა გარემომ ბევრი მეცნიერი აიძულა აკადემიურ მოღვაწეობაზე უარი ეთქვა, ამ ფონზე ერთიორად დასაფასებელი და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დავით პავლიაშვილმა არათუ შეწყვიტა თავისი სამეცნიერო მუშაობა, არამედ ამ ყველაფერმა გაცილებით მრავალფეროვანი მასშტაბები შეიძინა.

დავით პავლიაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილს ამ პერიოდიდან იკავებს მხარეთმცოდნეობითი კვლევები,1 ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების ფუძემდებლად ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში სერგი მაკალათია უნდა მივიჩნიოთ, რასაც შემდგომში საინტერესო განვითარება აქვს. დავით პავლიაშვილმა თავისი კვლევა სწორედ ამ მიმართულებით წარმართა და შემოგვთავაზა სერია, რომელიც რამდენიმე წიგნისა თუ სტატიისაგან შედგება, სადაც საინტერესოდ არის შესწავლილი შიდა ქართლის კუთხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა, ნაშრომების სამეცნიერო ღირებულებას კიდევ უფრო მეტად ზრდის ის ფაქტიც, რომ ავტორს ფართო მიმოქცევაში შემოაქვს საზოგადოებისათვის მანამდე უცნობი სამეცნიერო მასალა, სადაც საინტერესოდ არის გაშლილი მსჯელობა, ავტორი ფართო ანალიტიკური უნარების და კვლევის მეთოდების მოშველიებით, საკითხთა მეტად საინტერესო სურათს გვიხატავს. აქ ნათლად არის გადმოცემული მოსახლეობის ყოფითი ცხოვრების ისეთი დეტალები, რომლებსაც მანამდე ან ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ან კიდევ მათი შესწავლა თითქმის არ მიმდინარეობდა, ყოველივე ეს კი ავტორისეული კვლევის მეცნიერულ ღირებულებებს კიდევ უფრო მეტად ზრდის (პავლიაშვილი, დ. 1998; პავლიაშვილი, დ. 2003, პავლიაშვილი, დ. 2005 და სხვა). აღნიშნული ნაშრომები დავით პავლიაშვილმა გააერთიანა და გადამუშა-

1 ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების ფუძემდებლად ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში სერგი მაკალათია უნდა მივიჩნიო.

ვებული სახით წარმოგვიდგინა 2012 წელს 550 გვერდზე მეტი მოცულობის წიგნში - შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები, საკითხის მონოგრაფიული შესწავლის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს (პავლიაშვილი, დ. 2012).

პროფესორ დავით პავლიაშვილის მიერ მხარეთმცოდნეობითი კვლევის შემადგენელი ნაწილია 2005 წელს მის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფია თუშეთი, რომელიც, როგორც ავტორი აღნიშნავს, უფრო მეტად პოპულარული ხასიათის არის, თუმცა სრულიად აშკარაა, რომ საქმე გვაქვს სამეცნიერო-პოპულარული გამოკვლევის ძალიან კარგ ნიმუშთან, რომელსაც მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა გამოარჩევს, სადაც განსაკუთრებული ადგილი 1962-1963 წლებში სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების მიერ შეგროვებული მასალას უკავია. სრულიად აშკარაა, რომ ამ მიმართულებით ავტორმა დიდი შრომა გასწია, რის კვალსაც ნაშრომში ხშირად ვხდებით, რადგან მასში უხვად ხვდებით სხვადასხვა ზეპირ ისტორიებს. აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ესოდენ პოპულარული მიმართულება, რომელიც ზეპირი ისტორიების შეგროვებას და შესწავლას გულისხმობს, ამ მიდგომას, ქართულ ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიურ მიმართულებას საფუძველი ჯერ კიდევ ამ მეცნიერების ქართველი ფუძემდებლის, გიორგი ჩიტაიას მიერ ეყრება საფუძველი, ამ ნაშრომში დავით პავლიაშვილი საინტერესო კვლევას გვთავაზობს თუშეთის მეურნეობრივ თუ სულიერი კულტურის ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებზე (პავლიაშვილი, დ. 2006).

შემდეგი წიგნი, რომელიც დავით პავლიაშვილის ავტორობით გამოქვეყნდა, არის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია. საქართველო და მეზობელი სახელმწიფოები, რომელშიც ჩვენი ქვეყნის წარსული მეტად საინტერესო და ორიგინალური სტილით არის გადმოცემული და დანახული, ეს ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემას განეკუთვნება, სადაც ავტორი ცდილობს, საქართველოს ისტორია მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის ჭრილში განიხილოს და ამ კუთხით მეტად საინტერესო და ორიგინალური სურათი დაგვიხატოს, რაც დიაქრონულ პროცესს წარმოადგენს და სრულიად აშკარაა, რომ მასში გადმოცემული რეალობა განვითარების საინტერესო ტენდენციას ქმნის (პავლიაშვილი, დ. 2015).

დავით პავლიაშვილის ნაშრომებს შორის გამორჩეულად უნდა დავასახელოთ „მუხრანის კერძო ქალაქი (მუხრანის საბატონო“), წიგნი, რომელიც სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის არის, მაგრამ მასში ამ კუთხის საკმაოდ სიღრმისეულ კვლევას ვხდებით, მასში გაანალიზებულია მხარის ისტორიულ გეოგრაფიული ანალიზი, სოფლის მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხები, ნაშრომი მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზაზე

დაყრდნობით და მარტივი ენით არის დაწერილი, რაც საკითხით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, გაეცნონ მათთვის საინტერესო ანალიტიკური მომენტებით უხვად გაჯერებულ ნაშრომს (პავლიაშვილი, დ. 2015).

დავით პავლიაშვილმა თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიურ კვლევაში, მან XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მეტად საინტერესო კუთხით განიხილა, კერძოდ, ყურადღება მიაქცია, თუ როგორ არის ამ პოემაში მებაღეობის საკითხები გადმოცემული, მასში დაცული მონაცემები შეადარა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს და შემოგვთავაზა მეტად ორიგინალური და საინტერესო გამოკვლევა (პავლიაშვილი, დ. 2000, 26-34). აღნიშნული კიდევ ერთხელ ძალიან თვალნათლივ დაგვანახა, რომ აღნიშნული ლიტერატურული ნაწარმოების კვლევა მარტო ფილოლოგების პრეროგატივა არ არის და ეპოქის შესასწავლად მას დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

დავით პავლიაშვილის მრავალფეროვან სამეცნიერო მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გამოხმაურებებს სხვადასხვა გამოკვლევებზე, სადაც ძალიან საინტერესოდ არის გადმოცემული სარეცენზიო ნაშრომები, რომელთა შეფასებისას ავტორს არასოდეს არ ღალატობს აკადემიური ტონი. რეცენზიებში გადმოცემულია გამოკვლევათა სამეცნიერო ღირებულებები, ავტორისეული შენიშვნები მოზომილია და კარგად არის დასაბუთებული. დავით პავლიაშვილის ავტორობით გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი რეცენზიებიდან გამოვარჩევდით მის გამოხმაურებას ჯერ ჯუანშერ სონღულაშვილის ნაშრომზე - მებოსტნეობა თბილისის სანახებში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) (პავლიაშვილი 1960: 186-188), ხოლო შემდეგ კი გიორგი ჯალაბაძის ნაშრომზე - აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან (პავლიაშვილი 1961: 178-180). ამ ორ რეცენზიაზე ყურადღებას ორი მიზეზით ვამახვილებთ, პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ისინი დაწერილია ავტორის სამეცნიერო მოღვაწეობის საწყის ეტაპზე, მათში ნათლად ჩანს ავტორისეული დამოკიდებულება რეცენზიის ფენომენისადმი, მისთვის თავიდანვე მიუღებელი იყო ნაშრომისადმი რადიკალური დამოკიდებულება, მისი გამოხმაურებები არც სარეცენზიო ნაშრომის ხოტბას წარმოადგენს, არც განმაქიქებელ პასკვილს, მასში მოზომილად არის გადმოცემული კვლევის, როგორც დადებითი ისე უარყოფითი მომენტები.

დასასრულს დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროფესორი დავით პავლიაშვილი წარმოადგენდა ქართულ საისტორიო მეცნიერების გამორჩეულ სახეს. პიროვნებას, რომლის სამეცნიერო ნაშრომებს შინაარსობრივი თუ თემატური მრავალფეროვნება გამოარჩევს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორისეული პრო-

ფესიონალიზმი, საკითხისადმი სიღრმისეული მიდგომა და კომ-პლექსური ხედვა. დავით პავლიაშვილმა აქტიურად იღვაწა საქა-რთველოს ეკონომიკური გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის კუთხით. მის მიერ ჩატარებულ კვლევებს აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს და მომავალში ისინი კვლავ ახალი და მნიშვნელოვანი კვლევის საფუძველი გახდებიან. დავით პავლიაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია საქართვე-ლოს ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე შექმნილ სამეცნიე-რო-პოპულარულ ნაშრომებს, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სა-კითხის პოპულარიზაცია ფართო მკითხველ საზოგადოებაში.

დამოწმებანი

თოფჩიშვილი, რ. 2021. როლანდ თოფჩიშვილი. ქართლი. თბილისი, 2021.

პავლიაშვილი 1960. დავით პავლიაშვილი. მებოსტნეობა თბილისის სანა-ხებში. ჟურნ. „მნათობი“. №4. 1960. თბილისი.

პავლიაშვილი 1961. დავით პავლიაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს სა-მიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. ჟურნ. „მნათობი“. №41. 1961. თბი-ლისი.

პავლიაშვილი, დ. 1961. დავით პავლიაშვილი. მეხილეობა აღმოსავლეთ სა-ქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბილისი, 1961.

პავლიაშვილი, დ. 1974. დავით პავლიაშვილი. მეხილეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში. წიგნი 1 (1921-1945 წ.წ.), თბილისი, 1974.

პავლიაშვილი, დ. 1976. დავით პავლიაშვილი. მებაღეობა - მეწალკოტეობის საწყისი ფორმების შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა“. ტომი 7. თბილისი, 1976.

პავლიაშვილი, დ, 1998. დავით პავლიაშვილი. შიდა ქართლის სოციალუ-რ-ეკონომიკური სტრუქტურა. ნაწილი 1. (მდ. პ. ლიახვის ხეობა). თბილისი, 1998.

პავლიაშვილი, დ. 2000. დავით პავლიაშვილი. მებაღეობის საკითხი ვე-ფხისტყაოსანში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. №1. თბილისი, 2000.

პავლიაშვილი, დ. 2003, დავით პავლიაშვილი. შიდა ქართლი, ნაწილი 3 (ტა-ნა-ათრევას ხეობა). თბილისი, 2003

პავლიაშვილი, დ. 2005. დავით პავლიაშვილი. თეძამ-კავთურას ხეობა. თბი-ლისი, 2005.

პავლიაშვილი, დ. 2006. დავით პავლიაშვილი. თუშეთი. თბილისი, 2006.

პავლიაშვილი, დ. 2012. დავით პავლიაშვილი. შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 2012.

პავლიაშვილი, დ. 2015. დავით პავლიაშვილი. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია. საქართველო და მეზობელი სახელმწიფოები. თბილისი, 2015.

პავლიაშვილი, დ. 2015. მუხრანის კერძო ქალაქი (მუხრანის საბატონო). თბილისი, 2015.

რობაქიძე, ალ. 1986, ალექსი რობაქიძე. ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია. წგნ-ში: ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში. თბილისი, 1986.

სონღულაშვილი, ჯ. 1963, ჯუანშერ სონღულაშვილი. ახალი ეთნოგრაფიული ნაშრომი საქართველოს მეხილეობის შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 3. თბილისი, 1963.

ჯავახიშვილი, ივ. 1934, ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე. სურათებით. მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა. ტფილისი: ფედერაცია, 1934.

Итонишвили. В. Д. 1983, В. Д. Итонишвили.Грузинская советская этнография за 60 лет. Советская Этнография №2, 1983.

Павлиашвили, Д. 1979. Давид Павлиашвили. Развитие плодоводства в Советской Грузии (Историко-экономическое исследование). Тбилиси, 1979.